დანართი N1

დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის
„მერმისი“ დირექტორის
2020 წლის 10.02 *N* 04-47 *ბრძანებით*
ცვლილება: ბრძ. N 959403 22.07.2026 г.

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ - კოლეჯში „მერმისი“ (შემდგომში - კოლეჯი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - „პროგრამა“) დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების პროცედურებს.

მუხლი 2. პროგრამის დაგეგმვა

1. პროგრამის დაგეგმვის პროცესი მოიცავს ახალი პროგრამის ინიცირებასა და მისი დამატების მიზანშეწონილობის დადგენას;
2. ახალი პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯის თანამშრომელი (დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და სხვა), დამსაქმებელი, სხვა დაინტერესებული პირი.
3. ახალი პროგრამის დამატების შესახებ დასაბუთებული ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით კოლეჯის დირექტორის სახელზე.
4. ახალი პროგრამის დამატების არსებული პროგრამის ცვლილების/გაუქმების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქნება მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც განიხილავს ახალი პროგრამის დამატების არსებული პროგრამის ცვლილების/გაუქმების ინიცირების შესახებ განაცხადს;
5. კომისია განაცხადის განხილვისას ითვალისწინებს მის შესაბამისობას კოლეჯის მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, კოლეჯის ადამიანურ და მატერიალურ რესურსთან და სხვა;
6. კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია შედგება: კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნისა და კომისიის სხვა წევრებისგან.
7. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
8. კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს სიითი ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
9. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

10. კომისია იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის დამატების ან დამატებაზე უარის თქმის, არსებული პროგრამის ცვლილების/გაუქმების ან ცვლილებაზე/გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით.

მუხლი 3. პროგრამის შემუშავების პროცედურა

1. პროგრამას შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამისი დარგისა და ზოგადი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

1[1]. პროგრამის ხელმძღვანელი შეირჩევა წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი (ჩარჩო დოკუმენტი), რომლის საფუძველზეც იქმნება პროგრამა, შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სტატუსის მოდულებს.

3. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სავალდებულო მოდულების შეცვლის უფლება დაწესებულებას არ გააჩნია.

4. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტი) არჩევითი მოდულების ნაწილში, გარკვეულ შემთხვევებში, მოცემულია იმ მოდულების ჩამონათვალი, რომლებიც სპეციალურად ამ პროგრამისათვის შეიქმნა. აღნიშნული ნაწილი შეიძლება არ შეიცავდეს ასეთ ჩამონათვალს. კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს შეთავაზებული არჩევითი მოდულები და პროგრამის განვითარების მიზნით შეარჩიოს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ. ეს შეიძლება იყოს სხვა პროგრამის მოდულები, მათ შორის, სხვადასხვა უცხოური ენა. არჩევითი მოდულები ლოგიკურ ბმაში უნდა იყოს პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში დასაბუთებულ უნდა იქნას.

5. კოლეჯის მიერ არჩევითი მოდული ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ მან განავრცოს სავალდებულო პროფესიული მოდულის ცოდნა და უნარები სპეციალიზებულ კონტექსტში, ანუ შექმნას დამატებითი ვიწრო სპეციალიზაციის შესაძლებლობა ან მოიცვას ისეთი ახალი ასპექტები, რომელიც მოცემულ პროფესიულ სფეროს სხვა სფეროს უკავშირებს; უზრუნველყოს დამატებითი კომპეტენციების შეძენა მომიჯნავე სპეციალიზაციაში ან მოიცვას დამატებითი ტრანსფერული საკვანძო უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიული სტუდენტის შემდგომი პიროვნული განვითარებისა და დასაქმებისთვის.

6. კოლეჯი უფლებამოსილია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს არჩევითი მოდულ(ებ)ის გარეშე.

7. პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ნათელ სურათს პროგრამის თანმიმდევრული, ლოგიკური განხორციელების შესახებ და მასში დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები.

8. პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, ადაპტირებული მოდულები, სასწავლო გეგმა. საჭიროების შემთხვევაში პროგრამას შეიძლება დანართის სახით თან ახლდეს ინფორმაცია მოდულების დისტანციურად განხორციელების შესახებ.

9. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ზოგად მოდულებთან ერთად უნდა მოიცავდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს, რომლებიც წარმოადგენს პროგრამის შემადგენელ ნაწილს და მათი პროგრამისაგან დამოუკიდებლად განხორციელება დაუშვებელია;

მუხლი 4. პროგრამის დამტკიცება

1. პროგრამის ხელმძღვანელი შემუშავებულ პროგრამას ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამოსობის დადგენის მიზნით განსახილველად წარუდგენს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის.
2. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი განიხილავს წარმოდგენილ პროგრამას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
3. წარმოდგენილი პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, ხარისხის მართვის მენეჯერი პროგრამას შესაბამისი რეკომენდაციებით უკან უბრუნებს პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც 3 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს არსებული შეუსაბამობების გასწორებას.
4. პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
6. პროგრამის დამტკიცების დროისათვის, ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს გაუმჯობესების/შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას.

მუხლი 5. პროგრამის ხელმძღვანელი

1. პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის შემუშვებაში ჩართული პირი, რომელსაც აქვს პროგრამის განვითარების ხედვა, გამოირჩევა მაღალი დარგობრივი და მენეჯერული კომპეტენციით.
2. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა ითვლება დამატებით პასუხისმგებლობად.
3. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი, სხვა თანამშრომელი, ან დარგის სპეციალისტი, რომლის კვალიფიკაცია, სამუშაო ან სწავლების გამოცდილება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და მისაღწევ სწავლის შედეგებს.
4. პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციაა პროგრამის შემუშავების კოორდინაცია, განხორციელების ხელშეწყობა, განვითარება და მასში შესაბამისი ცვლილებების ინიცირება/შეტანა.
5. პროგრამის ხელმძღვანელობაზე წერილობითი უარის თქმის შემთხვევაში, ხარისხის მართვის მენეჯერი განიხილავს აღნიშნულ საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას ახალი

პროგრამის ხელმძღვანელის განსაზღვრის თაობაზე, რასაც წერილობით წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

მუხლი 6. პროგრამაში ცვლილებების შეტანა

1. პროგრამაში ცვლილებების შეტანის საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული გამოკითხვის შედეგების ანალიზი;

ბ) პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები;

გ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებები;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების ან/და განხორციელების ფორმის ცვლილება;

ე) პროგრამაში სწავლის შედეგების დამატება ან/და ამოღება;

ვ) სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილება;

ზ) სხვა გარემოება.

2. არსებულ პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯის თანამშრომელი (დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და სხვა), დამსაქმებელი, სხვა დაინტერესებული პირი. პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირება წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით შესაბამისი დასაბუთებით.

3. არსებულ პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირებას განიხილავს წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია.

4. მუდმივმოქმედი კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, არსებულ პროგრამაში სათანადო ცვლილების შეტანასა და განსახილველად წარმოდგენას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი.

5. ავტორიზაციის სტანდარტებთან შეცვლილი პროგრამის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მასში ცვლილების შეტანის დამტკიცებამდე, პროგრამას განიხილავს ხარისხის მართვის მენეჯერი და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს; იმ შემთხვევაში თუ პროგრამა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოა, ის კორექტირებისათვის უბრუნდება პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც 3 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს არსებული შეუსაბამობების გასწორებას.

6. პროგრამაში განხორციელებული ნებისმიერი სახის ცვლილება მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (შემდგომში „ცენტრი") აცნობოს ცვლილების განხორციელების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და წარუდგინოს მას შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები.

8. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ

პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა და ცენტრს აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე.

მუხლი 7. პროგრამის გაუქმების წესი

1. არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა/გაუქმება;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის გაუქმება;

გ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა;

დ) პროგრამის რენტაბელობის მოთხოვნის დარღვევა;

ე) სხვა არსებითი გარემოება.

1[1]. არსებული პროგრამის გაუქმების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯის თანამშრომელი (დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და სხვა).

1[2]. პროგრამის გაუქმების შესახებ ინიცირება წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, რომელშიც ნათლად უნდა ჩანდეს, თუ რის საფუძველზე ან/და რა გარემოებებით არის განპირობებული არსებული პროგრამის გაუქმების საჭიროება.

1[3]. არსებული პროგრამის გაუქმების ინიცირებას განიხილავს წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც პროგრამის გაუქმების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

1[4]. პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა/გაუქმების, პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის გაუქმების ან პროგრამის ავტორიზაციის ვადის დასრულების შემთხვევაში პროგრამა უქმდება დირექტორის მოადგილის/ხარისხის მართვის მენეჯერის/ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის/სასწავლო პროცესის მენეჯერის/იურისტის სამსახურებრივი ბარათის წარდგენის საფუძველზე.

2. პროგრამა უქმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი წერილობით მიმართავს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შუამდგომლობასთან დაკავშირებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წინაშე.

მუხლი 8. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობის მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს წინამდებარე წესის კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებას.

2. წინამდებარე წესში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთათვის ცვლილების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, როგორც საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eflow) საშუალებით, ასევე რედაქტირებული წესის კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებით.